

**ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარის ირინე გელაშვილის ანგარიში (2017.20.XI -დან
2018.23. X-მდე) გაწეული საქმიანობის შესახებ**

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პროპორციული სიით, არჩეული ვარ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად. საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის დღიდან ამირჩიეს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.

სოციალურ საკითხთა კომისია თავის საქმიანობას წარმართავს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების საფუძველზე.

კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს დადგენილი საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობას, გამგეობის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამის მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლს.

საანგარიშო პერიოდში, ჩემი თავმჯდომარეობით ჩატარებულია კომისიის 22 სხდომა და მომზადებულია შესაბამისი დასკვნები;

ამავე პერიოდში ჩატარებული საკრებულოს 28 სხდომიდან ვესწრებოდი 26 -ს, ხოლო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ 7 სხდომიდან დავესწარი ხუთს.

მოგახსენებთ, რომ საკრებულოში შექმნილია სათათბირო-საკონსულტაციო ორგანო, ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭო, გენდერული დისკრიმინაციის ფაქტების გამოვლენის, მათი აღმოფხვრისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების კოორდინაციის მიზნით. როგორც აღნიშნული საბჭოს წევრი, ვესწრებოდი აღნიშნული საბჭოს 3 სხდომას.

მესამე წელია, მონაწილეობას ვიღებ საქართველოს მასშტაბით გამართულ საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმში.

გაცნობებთ, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კვარტალური სამუშაო გეგმით, სექტემბრის თვეში, მოვისმინეთ ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ხელმძღვანელის ანგარიში სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდების უზრუნველსაყოფად 2018 წელს გატარებული ღონისძიებების შესახებ.

დღეისათვის კი, აღნიშნული კანონით განსაზღვრული ვალდებულების შესასრულებლად, აქტიურად მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის შემუშავება.

საკრებულოს მიერ განსასაზღვრი ქმედებები ერთიანად მოიცავს, როგორც ნორმატიულ, ასევე სასწავლო და ფინანსური კუთხით განსახორციელებელ აქტივობებს, კერძოდ:

მუნიციპალიტეტის მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, მიმდინარე წლის სექტემბერში დამტკიცდა სააღმზრდელო დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის (ძირითადად აღმზრდელებისა და მათი თანამშემწეების) პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ერთიანი სტრატეგია, რომელიც მოიცავს უწყვეტი განათლებისთვის საჭირო ქმედებათა ერთობლიობას, პერსონალის სამსახურებრივ ინსტრუქციებს, პროფესიულ სტანდარტებს.

ზოგადად აღვნიშნავთ, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ზრდა ბოლო 5 წელია მნიშვნელოვანი ტემპით იზრდება და დღის მდგომარეობით 16 ერთეულია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო მომავალშიც აქტიურად ითანამშრომლებს აღნიშნული კანონის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად.

კომისიამ აგრეთვე მოისმინა ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“, „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის, სამხედრო გაწვევის სამსახურის, კულტურის ცენტრების ხელმძღვანელების ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ.

როგორც უმრავლესობის წევრი, მხარს ვუჭერდი საანგარიშო პერიოდში მიღებულ ყველა დადგენილებასა და განკარგულებას, რომლებიც ვთვლი, რომ მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისა და განვითარებისათვის წინგადადგმული ნაბიჯებია.

მათ შორის, სოციალური მიმართულებით მიღებულია სხვადასხვა ნორმატიული აქტები:

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 იანვრის №5 დადგენილებაში „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების – ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ სპორტსმენების და ნაკრები გუნდების, სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას, კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უფასო სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №126 განკარგულებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი

სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის N 2 საჯარო სკოლისათვის ექვთიმე თაყაიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით თანხმობის გაცემის შესახებ

სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოძისის საჯარო სკოლისათვის სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოცხნარის საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2018 წელს განსახორციელებელი სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების თაობაზე“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №137 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №132 განკარგულებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №134 განკარგულებაში „ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების, ცხოვრების ჯანმრთელი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №124 განკარგულებაში „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ხშირად ვხვდებოდი მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებს, ვისმენდი თითოეული მათგანის პრობლემებს და ვახდენდი რეაგირებას.

ვაპირებ, ჩემი უფლებამოსილების შემდგომ პერიოდშიც გავაგრძელო ამომრჩევლებთან ხშირი კონტაქტი და მათი პრობლემები დავაყენო საკრებულოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე.

საკრებულოს წევრი



ი. გელაშვილი

23. 10. 2018 წ.